№ 85

ოთხშაბათი, 22 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 85

ოთხშაბათი, 22 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**კნეინა დარია გრიგოლის ასული მაჩაბლისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველის მეუღლისა და მეორეთა —მამისას

## თავ. აბესალომ დავითის ძის მაჩაბლისა,

და სთხოვს მობრძანდნენ ტფილისს ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 33, საიდგანაც მიცვალებულის გვამი გასვენებულ იქმნება რკინის გზის ტფილისის სადგურზედ, 24 აპრილს, დილის 9 საათზედ, სოფ. თამარაშენში წასასვენებლად, სადაც იგი დაკრძალულ იქმნება 25 აპრილს. (1—77—1).

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დაიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კანტორაში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყიდველთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—б.—23)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე' კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი – 6 – 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის საბალოსნო საზოგადოების წევრთ დაათვალიერეს-რა საბრეშუმო სადგურის მეფუტკრის კ. ა. სტრუმილლოს მიერ ცვილისაგან მშვენივრად დამზადებული საგნები და ბაბაევის მიერ ორდუბათიდგან გამოგზავნილი ზამთრის მსხალი და შეფოთლილი მუხა, მიუსაჯეს ბ-ნს სტრუმილლოს დიდი ვერცხლის მედალი და ბაბაევს ქების ფურცლები. დაჯილდოვებულ იქმნენ აგრეთვე კ. პ.კვეესი და ი. ი. მაიერი დიდის ვერცხლის მედალებით, ტფილისის საბალოსნო სასწავლებელი და საბრეშუმო სადგურის მებაღე ვასილიევი 1—15 თებერვალს გამოფენილ საგნებისათვის პატარა ვერცხლის მედლებით.

*** დღეს, 22 აპრილს, საღამოს 8 საათზედ კრება ექმნებათ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთ. კრებამ უნდა განიხილოს: 1) საზოგადოების მიმდინარე საქმეები და 2) მოხსენება 1897 წლის მოუსავლიობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. კრებას არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონება სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რომ ტფილისის საბალოსნო სკოლის აწინდელის მდგომარეობის გამოსარკვევად და გასაუმჯობესებლად დაარსებულ იქმნას ტფილისში ცალკე კომისია მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით, რომლის წევრებადაც იქმნებიან წარმომადგენელნი ტფილისის ქალაქის საბჭოსი, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქისა, მეურნეობის სამინისტროსი და კავკასიის მთავარ-მართებლისა. ამასთანავე სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რომ ვიდრე კომისია სკოლის საქმეს გამოარკვევდეს, აძლიოს მთავრობამ საზოგადოებას ამ სკოლის სასარგებლოდ 3,500 მანეთი, იმ პირობით, რომ უმცროსის კლასების გაუქმებისათანავე ეს ფულიც 2,500 მანეთად შემცირებული იქმნას. გარდა ამისა, თუ ხსენებული სკოლა სამეურნეო საზოგადოებას დარჩება, სამეურნეო სამინისტრომ სასარგებლოდ დაინახა, ამ სკოლის საქმეთა თვალ-ყურის საჭერად და სკოლის შესახების ზოგიერთ საგნის გამოსარკვევად დაარსებულ იქმნეს მეურნეობის მინისტრის რწმუნებულისავე თავმჯდომარეობით განსაკუთრებული ზედამხედველი საბჭო. ეს საბჭო დრო-გამოშვებით დაათვალიერებს სკოლას, გამოარკვევს იმის ქონებას დაესწრობა მოსწავლეების გამოცდას და სხვა. ყოველსავე თავისს აზრს სკოლის გაუმჯობესობის შესახებ აცნობებს მეურნეობის დეპარტამენტს. ამ საბჭოს წევრებად იქმნებიან: ორი წარმომადგენელი კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებისა და ორიც მეურნეობის სამინისტროსი.

*** ქალაქის მოურავმა გაუგზავნარა ტფილისის გუბერნატორს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიეგებნენ კავკასიის ქალაქების თვითმმართველობანი და კერძო კაცნი ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეს, სთხოვს განსაკუთრებულ კომიტეტის დაარსებას, რომელმაც უნდა იტვირთოს ამ საქმისათვის შემოწირულებათა შეკრება.

*** ამ ჟამად ქალაქის გამგეობა არკვევს იმის წესებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალაქი, როდესაც უსახელო საზოგადოებისაგან შეისყიდის ცხენის რკინის გზას. გამგეობის აზრისამებრ გზის მოწყობა-მომართვასა და წარმოებას დასჭირდება 120,000 მან. და ეს თანხა კარგი იქმნება, რომ ქალაქმა საკრედიტო საზოგადოებისაგან ისესხოსო.

*** ქუთაისის სამეურნეო სკოლის მასწავლებლებმა ამ გაზაფხულზე დააარსეს სამეურნეო სწავლის კურსები: ერთი მათგანი კითხულობს აბრეშუმის წარმოების შესახებ, მეორე მევენახეობისა და მებოსტნეობის შესახებ, მესამე—მეფუტკრეობისა და სხ. კურსების მოსასმენად ყოველ დღე დადიან აქაურის სამოქალაქო სკოლის უფროსის კლასის მოსწავლენი მასწავლებლებითურთ, აგრეთვე სასულიერო სემინარიის მოსწავლენი და სხვა გარეშენი. ს სიამოვნო და სასარგებლოა ამ კურსების მოსმენა, რადგან მასწავლებლები სცდილობენ ყველაფერი მდაბიურად აუხსნან მსმენელებს. კურსებზედ დასწრებას აპირობენ თურმე საქალებო გიმნაზიის უფროსი მოსწავლენიც. კურსები ორს კვირას გასტანს.

*** ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ს. გუგუნავა დანიშნულ იქმნა ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ-შუამავლად. იმითანამდებობას ასრულებს კანდიდატი თ. კ. დ. ერისთავი.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ კავკასიაში გავრცელებულ ფილოქსერასა და სოკოს ავადმყოფობასთან საბრძოლველად გადასდო 146,000 მან., რომელიც უნდა მოჰხმარდეს ხსენებულ საქმეს კავკასიის მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის ბ-ნ მედვედიევის ნება-რთვისამებრ.

*** გაზ. „ახ. მიმ." სიტყვით, აღძრულია ხელ ახლად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსებულ იქმნას საშუალო სახლი ახალშენითურთ სულით ავადმყოფთათვის. ამ ახალშენში 300 სულით ავადმყოფი უნდა იყოს მოთავსებული.

*** გაზ. „Моск. Вѣд." დეპეშით ატყობინებენ, რომ განზრახვა აქვთ ნოვოროსიისკიდგან სუხუმამდის ელექტრონის რკინის გზა გაიყვანონ. გზის გასაყვან ადგილების გამოკვლევას ყირიმის ინჟენერები მიჰყოფენ ხელსაო.

*** ქუთაისი. აქ ხმა გავრცელდა, რომ ციმბირიდგან გადმოვარდნილი ავაზაკები დათარეშობენ ქუთაისის მახლობელ სოფლებში და ხან-და-ხან ღამ-ღამ თითონ ქუთაისშიაც შემოდიანო. ამ ამბავმა საშინელი თავსზარი დასცა მცხოვრებლებს.

*** ქუთაისი, 17 აპრილი. პეტერბურგიდგან სარწმუნო კაცს გამოუგზავნია ცნობა, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილება ქუთაისში აღარ დაარსდებაო.

*** ხაშურიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურც.", რომ მდ. კატლოვანის გასაყვანმილების დალაგების დროს მიწა მოირღვა და ქვეშ მოიტანა მიხა და სოსო ბარბაქაძეებიო. როდესაც მიწა გადათხარეს, ერთი მკვდარი ამოიღეს და მეორე-კი გრძნობა დაკარგული და ძლიერ დაშავებულიო.

*** 20 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, რიყის ქუჩის მახლობლად თათუზოვისა და ბეჟანოვის სახლის მახლობლად, ვიღაც კაცი მტკვარში გადავარდა და თავი დაირჩო. დამრჩვალის გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

*** 20 აპრილს, საღამოს 5 საათზედ, სარქისოვის საჩაიეში ვიღაც უცნობი კაცი უცბად გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში წაიღეს.

*** 19 აპრილს, რკინის გზის სადგურზედ, ტფილისის მცხოვრებლებს ივანე კანიაშვილს და ვლადიმერ რევინს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოუვიდათ და რევინმა მუცელში დასჭრა დანით კანიაშვილი! დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, ხოლო დამნაშავე შეიპყრეს.

—

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში იმ საღამოს შემოსავლისა, რომელიც გამართულ იქმნა 1898 წ. 2 თებერვალს ტფილისის საკრებულოს დარბაზში უგან. კნ. ტ. დ. გრუზინსკის თაოსნობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. შემოსავალი იყო: მთავარ-მართებელის თავ. გოლიცინისაგან – 100 მან.; ბილეთებისა და ჯილდოებისაგან—1,642 მან. 87 კაპ.; ბუფეტიდგან—359 მან.; დარჩენილ მარკების გასყიდვით—18 მან. 20 კაპ., სულ—2120 მან. 07 კაპ. დაიხარჯა: დარბაზის დასაქირავებლად—100 მან.; მუსიკასა და საზანდარზედ—100 მან.; მოსამსახურეთ მიეცათ 22 მან.; მარკებზედ—100 მან.; ბუფეტის გასამართავად—235 მან.; განცხადებათა, მოსაწვევ ბარათებისა და ბილეთების დასაბეჭდად—70 მან., ფოსტისა, კონვერტებსა და განცხადებათა გასაკრავად—8 მან. 23 კაპ.; ბილეთების დარიგებისა და მისვლა-მოსვლას დასჭირდა 23 მან.; წვრილმანი ხარჯი 8 მან. 30 კაპ. სულ—667 მან. 12 კაპ. ხარჯს გარდა დარჩენილი 1,452 მან. 95 კაპ. გარდაეცა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

საღამოს გამგე უგან. კნ. გრუზინსკისა მადლობას სწირავს ყველას, ვინც-კი ამ საღამოს ხელი შეუწყო და გაზ. „კავკასის" რედაქტორს განცხადების უფასოდ დაბეჭდვისათვის. გამგეობა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა თავისს მხრივ მადლობას სწირავს საღამოს გამგე გრუზინსკისას.

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრება

20-ს აპრილს

კრება თუმცა გამოცხადებულ იყო 10-ს საათისათვის, მაგრამ 12-ს საათზე გაიმართა, რადგანაც წევრნი მხოლოდ მაშინ მოგროვდნენ. კრებაზე დაესწრო 139 წევრი. გარეშე საზოგადოება ისევ ცოტაა, როგორც წინა დღეს: ორი სამი ლოჟაა დაჭერილი.

თავ-მჯდომარემ, ვიდრე მორიგ საქმის გარჩევას შეუდგებოდა, გამოაცხადა, რომ ზედა-მხედველი კამიტეტი მოახსენებს კრებას თავისს განაჩენს შესახებ რწმუნების წერილებისას, რომელიც ამ კრებისათვის წარმოდგენილებიაო. ზედა-მხედველ

კამიტეტის წევრმა თ. მაყაშვილმა მოახსენა კრებას, რომ სულ წარმოდგენილია 218 რწმუნების წერილი. ამათში ორმოცი სხვა-და-სხვა კანონიერ მიზეზით არ იყო შეწყნარებული და მიღებულია მხოლოდ 178-იო. რამდენი რა მიზეზით არ იყო შეწყნარებული თ. მაყაშვილმა დაწვრილებით აღნიშნა. კრებამ შეიწყნარა ეს მოხსენება.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა ოქმი გუშინდელის კრებისა. თ. ალ. ჩოლოყაშვილმა მოითხოვა მისი გუშინდელი ნათქვამი შესწორებულ იქმნას, რადგანაც ოქმში ჩემი ნათქვამი ისე არ არის აღნიშნული, როგორც მე ვთქვიო. თ. ივ. სულ. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ ოქმში ჩაწერილი არ არის ჩემ მიერ ხსენებული სარჩიელი, რომ § 34-ი წესდების ან შეცვლილ იყოს, ან სამინისტროს წარედგინოს აღსახსნელად და გამოსარკვევადაო. თავ-მჯდომარემ შეიწყნარა თხოვნა თ. ჩოლოყაშვილისა და უბძანა მდივანს მისი ნათქვამი შეასწოროს და თ. ივ. სულ. ჭავჭავაძეს კი გამოუცხადა, თქვენი აზრი დასწერეთ, წარმოადგინეთ და ოქმს დაემატებაო.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ეხლა უნდა შეუდგეთ ხარჯთ აღრიცხვის გასინჯვას 1898 წლისათვისაო. გამგეობის წევრმა თ. გრუზინსკიმ სთქვა, რომ აქ მოსახსენებელია კიდევ და გასასინჯი ერთი განაჩენი გამგეობისა და ზედა-მხედველ კამიტეტისა, რომელიც თხოულობს, რომ 1898 წლის ხარჯთ აღრიცხვაში ჩამატებულ იყოს 5,000 მანეთი შესადგენად საპენსიონო კასსისა ბანკში მოსამსახურეთათვის. ამის გამო უფრო კარგი იქნება, რომ ჯერ ეს მოხსენება განირჩესო, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული შეივსოს 1898 წლის ხარჯთ აღრიცხვა ამ 5,000 მანეთითა, თუ არაო. თავ მჯდომარემ საბუთიანად იცნა ნათქვამი თ. გრუზინსკისა და სთქვა, უწინარეს ხარჯთ აღრიცხვისა ამ საპენსიონო კასსისათვის საჭირო ფულის აღნიშვნის გარჩევას შევუდგებითო.

თ. ი. შალიკაშვილმა სთხოვა თავმჯდომარეს, ნება მიმეცით ვიკითხო, —რა საგნები ჰქონდა მინდობილი პეტერბურგში გაგზავნილ წევრს და რა ამბავი მოგვიტანა იქიდამაო. მე მარტო ეს ვიციო, რომ, მაგალითებრ, ჩვენის წესდების შეცვლის შესახებ ჩვენმა გამგეობამ დაიგვიანა და როცა სახელმწიფო საბჭოში უკვე ის საქმე გათავებული იყო, მხოლოდ მას მერმედ მივიდა ჩვენი კაცი პეტერბურგშიო. თავმჯდომარემ საჭიროდ იცნა ეცნობებინა კრებისათვის რისათვის იყო გაგზავნილი გამგეობის წევრი პეტერბურგში და რა ამბავი მოიტანა და ამიტომ საჭიროდ დანახულ იქმნა წაკითხულიყო მოხსენება გაგზავნილის წევრისა. ამ მოხსენებიდამ სჩანს, რომ გაგზავნილ წევრს მინდობილი ჰქონდა: 1) შეეტყო რა მდგომარეობაშია საქმე წესდების შეცვლისა, რომელსაც საგნადა აქვს ახალი წესი და საფუძველი დაუდვას ჩვენს საზოგადო კრებას მით, რომ წარმომადგენლობითი კრება იქმნას და არა პირდაპირი კრება წევრთა, როგორც ეხლაა და ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა გასწიოს ბანკის სასარგებლოდ, თუ შესაძლებელი იქნება; 2) იშუამდგომლოს, რომ ჩვენის ბანკის წარდგენილობანი მალე შეწყნარებულ იქმნას და თუ საჭირო იქნება რაიმე პასუხი, ყოველ ამაებზე პასუხი მისცეს სასარგებლოდ ბანკისა. წარდგენილებანი ჩვენის ბანკისა შემდეგნი არიან: ა) თუ $4^0/_0$-ნის არა, $4^1/_2{}^0/_0$ გირავნობის ფურცლის გამოცემის ნება მაინც; ბ) ნების-რთვა იმისი, რომ ჩვენმა ბანკმა გირაოდ მიიღოს კოჯორის, ბორჯომის და აბასთუმნის სახლები; 3) ნება მიეცეს ჩვენს ბანკს, რომ ქალაქების უძრავ ქონებაზე გასაცემი სესხი ორ ნაწილად გაჰყოს ხოლმე, ცალკე შენობისა და ცალკე მიწისა და მარტო იგი ნაწილი სესხისა დაზღვეულ იქმნას ცეცხლისაგან, რომელიც შენობას შეხვდება დაფასებით, და არა მთელი სესხი, შენობასა და მიწაზე ერთად გაცემული, როგორც ეხლაა; 4) ნება ჰქონდეს ჩვენს ბანკს $20^0/_0$ და $30^0/_0$-ი გამორიცხოს ხოლმე ქალაქის ქონების შემოსავლიდამ წმინდა შემოსავლის აღსანიშნავად და არა $30^0/_0$ და $40^0/_0$, როგორც ეხლაა; 5) ნება მიეცეს ზედამხედველ კამიტეტს დაითხოვოს სამსახურიდამ წევრი დამფასებელ კამისიისა ვადაზე ადრე, თუ ვინიცობაა შენიშნულ იქმნება, რომ უვარგისია და დასათხოვნად წარდგენილ იქმნება გამგეობისაგან. განკერძოებით ეს საგნები ჰქონია მინდობილი გაგზავნილს წევრს და საერთოდ ყველაფერი, რასაც-კი აღძრავდა სამინისტრო და ახსნას, გარკვევას და შუამდგომლობას მოითხოვდა.

აღმოჩნდა, რომ წარმომადგენლობითის კრების პროექტი, მომზადებული სამინისტროსაგან, უკვე დამტკიცებულია სახელმწიფო კრებისაგან. ამ პროექტის ძალით, საფინანსო მინისტრს ეძლევა უფლება შესცვალოს ჩვენის ბანკის წესნი შესახებ იმისა, თუ ვისგან უნდა შესდგეს საზოგადო კრება ჩვენის ბანკისა. ამ პროექტის ძალით წევრნი-დამფუძნებელნი აღარ ეყოლება ჩვენს ბანკს და კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ დამფუძნებელობით. საზოგადო კრება სულ 210 კაცისაგან იქნება შემდგარი, ნახევარი ამისი უნდა ამორჩეულ იქმნას თავადაზნაურთაგან სამაზრო კრებაში; რომელმა მაზრამ რამდენი კაცი უნდა ამოირჩიოს, ეს უნდა აღნიშნოს საგუბერნიო კრებამ; მეორე ნახევარს ამოირჩევენ მსესხებელნი. კრებაზე დასწრების ნება არ ექმნება გარეშე პირს. დამფუძნებელთ დაუბრუნდებათ მათ მიერ ბანკში სათავნოდ შემოტანილი ფული. არსებითნი მუხლნი ცვლილებისანი ჯერ მარტო ესენია ცნობილნი და გამოქვეყნებულნი. ვიდრე სახელმწიფო ბჭოის განაჩენი თავისს კანონიერ გზას არ გაივლის და არ გადაეცემა სამინისტროს აღსასრულებლად, იმაზე მეტს, რაც უკვე ზემოდ მოხსენებულია, ჯერ ბანკი ვერას აუწყებს კრებასაო. სხვა რაც შეეხება ბანკის წარდგენილობას, ყველა შეწყნარებულია სამინისტროსაგან, გარდა იმისა, რომ სამინისტროს უარი უთქვამს $4^0/_0$-ის გირავნობის ფურცლის გამოცემისა და მხოლოდ $4^1/_2{}^0/_0$-ნის გირავნობის ფურცლის გამოცემა შეუწყნარებია. მთლად უარი უთქვამს იმაზე, რაც შეეხება ზემოხსენებულ ცეცხლისაგან დაზღვევის წარდგენილობას. სხვა ყოველივე წარდგენილობა ჩვენის ბანკისა, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, შეუწყნარებია სასინისტროს, როგორც კერძოდ მოსული დეპეშა კერძო კაცისაგან იუწყება და ოფიციალური ცნობა კი ჯერ ბანკს არ მოსვლია, თუმცა დეპეშით იწერებიან, რომ მალე მოუვა ეს ცნობა ბანკსაო.

ამ მოხსენების გამო ცოტაოდენი ლაპარაკი გაიმართა, კრებამ მოისმინა საყვედური თ. შალიკაშვილისა, რომ არაფერი გაურიგებია გამგეობასა, როგორც სჩანს მოხსენებისაგანაო და მერე კრება შეუდგა განხილვას საპენსიონო კასისათვის ფულის გადადებას. გამგეობა და ზედამხედველი კამიტეტი თავისს მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ საჭიროა ბანკში მოსამსახურეებს იმედი ჰქონდეთ, რომ დიდის სამსახურის შემდეგ, თუ რომელიმე მათგანი შრომას ველარ შეიძლებს სიუძლურით, სნეულების გამო, ან სიბერითა, ანუ სიკვდილი ცოლ-შვილს დაუობლებს, ნუგეში რამ ჰქონდეს, რომ ლუკმა-პური, დიდის ხნის სამსახურით ნაშოვნი, არ მოაკლდება ან თითონ მოსამსახურეს, ან მისის სიკვდილის შემდეგ მის ცოლ-შვილსაო. ეხლა არ არის თითქმის არც ერთი დაწესებულება, რომ ამ მხრით ნუგეში რამ არ აღმოეჩინა თავისს მოსამსახურეთათვის და თვითონ ტფილისში თითქმის მარტო ჩვენი ბანკიაო. თვით მთავრობამაც საჭიროდ იცნა ასეთი ნუგეში და სამინისტრომაც უკვე გამოსცა ამისათვის შესაფერი წესებიო და სხვათა შორის ის აღნიშნაო, რომ თუ თვითონ დაწესებულება ამ საქმეში ფულით შეწევნას არ იკისრებს, ნებას არ მივცემ ამისთანა კასსა იქონიონ მოსამსახურეებმაო, რადგანაც უამისოდ თავდები არა არის-რა, რომ კასსა თავისს დანიშნულებას აღასრულებსო. გამგეობა და კამიტეტი ითხოვს კრებისაგან 5000 მანეთს წელიწადში ათის წლის განმავლობაში კასსისათვის იმ პირობით, რომ ეს 5000 მანეთი შეტანილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვაში ყოველწლივ უცვლელად, ვიდრე ათი წელიწადი ამ 1898 წლიდამ გავიდოდეს.

კრებაში ხანგრძლივის ბაასის შემდეგ გამოირკვა, რომ საჭიროა წაკითხულ იქმნას პროექტი საპენსიონო კასსისა, რომელიც უკვე შედგენილი აღმოჩნდა და გასინჯული წესისამებრ. თავმჯდომარემ ნება არ მისცა ამ პროექტის წაკითხვისა, რადგანაც განსახილველთა საგანთა შორის ეგ საგანი დანიშნული არ არისო. კრებამ არ ინება პროექტის განუხილველად რაიმე სჯა იქონიოს ხსენებულ 5000 მანეთის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანის გამო და ეს საქმე გადაიდვა სამერმისოდ, როცა პროექტი საპენსიონო კასსისა წარდგენილ იქნება კრებაში განსახილველად.

ამის შემდეგ თავ-მჯდომარემ წარუდგინა კრებას 1898 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა. წაკითხულ იქმნა ამისი შესახები წარდგინება ზედამხედველ კამიტეტისა, საიდამაცა სჩანს, რომ გარდა იმ საგნებისა, რომელზედაც წინა წლებში იხარჯებოდა ფული, წლევანდელს ხარჯს უნდა მოემატოს კიდევ 3,500 მანეთი ბაქოში მუდამის სააგენტოს დასაარსებლად. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ბ-ნმა ამირ-ალოვმა სთქვა, რომ წლევანდელისათვის დანიშნულია ოთხის გამგეობის წევრისათვის 9000 მანეთი. საჭიროა თუ არა მეოთხე წევრი? მე ამას იმიტომ ვკითხულობო, რომ მეოთხე წევრი მოწვეული იყო სასამართლოსთვის აჩენილ საქმეთათვის, ბაქოში გასამართავ სააგენტოსათვის. სასამართლოში საქმეები იმდენი არა არის-რა, რომ ამისათვის მეტი წევრი ვიყოლიოთ და ხარჯი ვიხადოთო. ბაქოში სააგენტო ეხლა რა საჭიროა, როცა ვიცით, რომ

# ფელეტონი

## ცხოვრება და მწერლობა

II

მაკინე

(დასასრული *)

ბევრი დაწერილა და თქმულა ჩვენში ქალების განათლების საჭიროების შესახებ, მაგრამ ის, რაცა სთქვა ან. ერისთავისამ, ყოველს თქმულს აღემატება. ესე იგი, თუ გნებავთ, იმან არაფერიც არა თქვა-რა, მან მხოლოდ, როგორც ხელოვანმა მხატვარმა, დაჰხატა თავს ზარ-დამცემი სურათი: ჩვენი კეთილშობილთა წოდება სდგას „მოლიპულ გზაზედ“ და მიექანება უფსკრულისაკენ დასაღუპად... და ამ გზით პირველი მიისწრაფის ქართველი ქალი; ის თმაგაწეწილი, ვითარცა შეშლილი, სჩქარობს მალე ჩავარდეს წყვდიადში და თან ჩაიტანოს ქმარი, შვილი, ძმა, ნათესაობა, ქვეყანა!

ეს საზარელი სურათი დაიხატება წამლებითაც ტილოზედ, ხოლო ან. ერისთავისამ დახატა სიტყვიერის სურათ-ხატობით ქაღალდზედ. მხატვარი-პოეტი იმითია კარგი, რომ მისი სიტყვა ყველას ეყურება, ყველაზედ ჰმოქმედებს, ყველას გულს უწყლავს. ან ერისთავისა არა სცდილობს თითონ ცუდი რამ სთქვას მაკინეს შესახებ; პირ-იქით, ის ხან ისე აგვიწერს ხოლმე მაკინეს სიმშვენიერე-სიკეკლუცეს, მისს ნაზს ბუნებას, რომ მოგვწონს კნეინა. ერთის სიტყვით, ან. ერისთავისა ამბობს: მე დავხატავ უტყუარსა და მართალს სურათს მაკინესას და მოგეწონებათ —თქვენ იცით, დაიწუნებ და ისიც თქვენი ახალი ქეიფიაო. ეს არიი უტყუარი სიგელი ან. ერისთავის პოეტურ ნიჭიერებისა. დახატა სახე მაკინესი. რა შესაზარი და გულ-საკლავი რამ გამოვიდა იგი!

შერცხვენა ჩვენი, სივაგლახე ჩვენი კიდევ ის არის, რომ ჩვენ „მაკინეებს“ პატივსა ვცემთ სულ უკანასკნელ დღემდის, მის დაცემა-გაღარიბება-გაღატაკებამდე. ამითი ვამტკიცებთ, რომ ჩვენც ცოტად თუ ბევრად „მაკინეები“ ვართ. კარგსა და ზნეობრივ საზოგადოებაში „მაკინე“ შერცხვენილი და ამოჩემებული უნდა იყოს, ვითარცა მეტ-ხორცი საზოგადოების სხეულისა, ვითარცა გარყვნილებისა და გახრწნილების შემტანი საზოგადოებაში. ჩვენ-კი იმას ტაშს ვუკრავთ, სიამოვნებით დავდივართ მის მიერ გამართულს ბალებსა და სალამოებზედ.

რომელ სალიტერატურო ტიპთან აქვს ნათესავური კავშირი მაკინეს? ჩვენის ფიქრით, მაკინე ღვიძლი შვილია დარეჯანისა „კაცია-ადამიანიდგან“. დიახ, დარეჯანი გადაიქმნა მაკინედ დროისა და ჟამის ზეგავლენით. მაკინეში გაორკეცდა, წრესა და ზომიერებას გადავიდა ის ნაკლი, რომლითაც იყო შეპყრობილი დარეჯანი. შრომა, დაზოგვით ცხოვრება, საქმიანობა, ადამიანობა ერთნაირად ეუცხოვებათ დარეჯანსაც და მაკინესაც. ორივენი გაბერილები არიან იმ ამაყობით, რომ „წმინდა“ სისხლის კნეინები არიან. ორივენი მეტნი ბარგნი არიან ამა სოფლად. ორივეს მოწოდება არის დანგრევა, დაღუპვა ოჯახისა. ორივეს თავში არ შეაშუქებს ხოლმე არც ერთხელ სხივი აზრისა, ფიქრისა, ადამიანობისა. ორივესთვის გაუგებარია ის, რაც აღემატება ადამიან-პირუტყვის მოთხოვნილებას. „დარეჯანმა“ მოიხადა ლეჩაქი, ინსტიტუტი დაასრულა, რუსული და ცოტა ფრანგული ისწავლა და გახდა „მაკინე“. მხოლოდ დროისა და ჟამის ვითარების ბრალია, თუ დარეჯანს არა აქვს ისეთი მავნე და ბორიტი მნიშვნელობა ოჯახის დაღუპვასა და განადგურებაში, როგორც მაკინეს. დარეჯანის მოთხოვნილებანი მარტივია, ადვილად დასაკმაყოფილებელი. დარეჯანს რომ წელიწადი —თორმეტი თვე სულ მეჯლისები ემართა, ოჯახს, რასაკვირველია, უკან დასწევდა, ხოლო ვერ-კი გაანადგურებდა. ეს იმიტომ, რომ მის დროის მოთხოვნილებას თვით ოჯახი და მისი შემოსავალი აკმაყოფილებდა. პური და ღვინო შინ იყო, ყველი და ერბო, მსახური და მუშა-ხელი მუქთი ბატონ-ყმობისა გამო, საკლავი და ფრინველი შინ. ტანისამოსიც-კი შინა მზადდებოდა და იკერებოდა. დიდ წვეულებას ისე გარდაიხდიდა თავადიშვილი, რომ ერთი აბაზი ფულად არ დაჰხარჯვოდა. დრონი იცვალნენ. მაკინე იმითი ველარ დაკმაყოფილებულა, რითაც ბედნიერი იყო დარეჯანი. აღარც ყმები და მუქთა მუშები გახლავან. ეხლანდელს დროში ისეთი ორი-სამი მეჯლისი რომ გარდაიხადოს თავადიშვილმა, თანაც გადაჰყვება სულიან-ხორციანად. რაც მაკინეს ეხლა მოდებისა და მორთულობისათვის ეხარჯება, რაც მას ოპერისა და კონცერტების ლოჟებისა, აგარაკებისა სხვა ამისთანებისათვის დაეხარჯება ერთს წელიწადში, დარეჯანი მთელს თავის სიცოცხლეში ვერ დაჰხარჯავდა. ამიტომ ვამბობთ, რომ მაკინე-დარეჯანი ერთის ბუდის ბღარტები არიან, ერთ-სისხლნი და ერთ-ხორცნი არსებითად. განსხვავება მათ შორის დროთა და მოთხოვნილებათა ცვლამ შეიტანა.

ერთის მხრივ მხოლოდ დარეჯანი უეჭველად მაღლა სდგას მაკინეზედ. ის, ვითარცა ძველი ქართველი ქალი, რჯულსა და სარწმუნოებას მაინც მტკიცედ ადგას. ღვთის შიში და ჯოჯოხეთის ტანჯვა ხშირად შეიკავებს ხოლმე დარეჯანს უსინიდისო და უსირცხვილო საქციელისაგან. „განათლებულ“ მაკინეს ეს ღვირიც წაუხსნია განათლების ზეგავლენით და შექმნილა საზარელ არსებად. მისმა გაფთრებულმა სურვილმა: სულ შესჭამოს, ჩაიცვას და გაყიდოს, არ იცის შეკავება, ალაგმა. რამ უნდა შეიკავოს ის? სიყვარულმა? — იმან არ იცის სხვა სიყვარული გარეშე წუთიერისა და ხორციელისა. მოვალეობამ? —მას თავისი თავი არავის წინ

*) იხილე „ივერია“ № 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაც იმართება ქალაქის საკრედიტო საზოგადოება და ჩვენს ბანკში დაგირავებული მამულებიც-კი გადავა საკრედიტო საზოგადოებაში, თორემ ახალს მსესხებელთ ვილა იკითხავსო. ამისათვის, მე მგონია, რომ მეოთხე წევრი გამგეობისა მეტია და ამისათვის ნაჩვენები ხარჯიც გამორიცხული უნდა იყოს ხარჯთ-აღრიცხვიდამაო. ზედა-მხედველ კამიტეტის თავმჯდომარემ თ. გრუზინსკიმ და მერე გამგეობის თავმჯდომარემ თ. ჭავჭავაძემ აუხსნეს კრებას, რომ მეოთხე წევრი მოწვეულია საზოგადო კრების განაჩენითა და მინამ ეს განაჩენი გაუქმებული არ არის იმ რიგით, როგორც წესდებაშია მოხსენებული, მეოთხე წევრის მეტ-ნაკლებობაზე ლაპარაკი მეტიაო. იქნება ბ-ნი ამირალოვი მართალია, რომ თხოულობს მეოთხე წევრის გაუქმებას, ხოლო წესდების ძალით ეგ წინადადება თავისს დროზე უნდა შეეტანა ბანკში, გამგეობას და ზედა-მხედველ კამიტეტს გაესინჯა, თავისი აზრი შეედგინა ამ საგანზე, გამოეცხადა ეს საგანი გაზეთებში, ვითარცა საგანი ამ კრებისათვის განსახილველი და მხოლოდ ამ გზით აღძრულიყო გადასაწყვეტად ამ კრებაში. ამ გზას აჩვენებს § წესდებისა და თუ არ ამ გზით, სხვა გზით შეხება ამ საგნისა უკანონობაა, როგორც ეს შენიშნულია მთავრობის რევიზიისაგანაო. ამიტომაც, თუ ბ-ნი ამირალოვი საჭიროდ ჰხედავს მეოთხე წევრის თანამდებობის გაუქმებას, სამერმისოდ შეიტანოს ამისი შესახები სარჩიელი ბანკში. ბ-ნი ამირალოვი დასთანხმდა ამას. თავ-მჯდომარემ მოსპო ამ მეოთხე წევრზე ლაპარაკი, რადგანაც ეგ საგანი არც გამოცხადებულია განსახილველად და არც კანონიერის გზით წარმოდგენილი.

ხარჯთ-აღრიცხვამ, ზედა-მხედველ კამიტეტის მიერ წარმოდგენილმა, მიიქცია ყურადღება მხოლოდ ერთის საგნის შესახებ. ეგ საგანი იყო ბაქოში სააგენტოს დაარსება და ამისათვის აღნიშნული ხარჯი. ხარჯთ-აღრიცხვის საგანთა შორის მარტო ამ საგანმა გამოიწვია ბაასი. ზოგი ამბობდა, რომ საჭიროა ბაქოში სააგენტოს დაარსება, თუ არა,—ეს საგანიც იმ გზით უნდა წარმოდგენილიყო, რა გზითაც აღგვიხსნეს შესახებ მეოთხე წევრის თანამდებობის გაუქმების საქმე, და ზოგი იმას ამბობდა, რომ 3500 მანეთი, რომელსაც კამიტეტი სააგენტოს ხარჯისათვის თხოულობს, დასაბუთებული და თვითოეულად გამორკვეული არ არის, რაში რა უნდა დაიხარჯოსო. გამგეობამ აუხსნა კრებას, რომ საჭიროა თუ არა ბაქოში სააგენტო,—ეს იმისთანა საგანი არ არის, რომ საზოგადო კრების გადასაწყვეტი იყოს. § 70-ი წესდებისა ამის გადაწყვეტას მთლად აკუთვნებს გამგეობას. გამგეობა საჭიროდ ჰხედავს ბაქოში სააგენტოს დაარსებას და თქვენგან კამიტეტი ამისათვის მარტო ფულსა თხოულობს და ხარჯ-აღრიცხვაში ეს ფული შეტანილიაო. თვითოეული საგანი ხარჯთ-აღრიცხვით ხომ არ შეიძლება გამოცხადდეს ცალ-ცალკე გაზეთებში, იგი საერთოდ ერთს საგანს შეადგენს ხარჯთ აღრიცხვისას, რომელიც განსახილველად საერთოდ გამოცხადებულია. ესე რომ არ იყოს, მაშ ცალკე უნდა გამოცხადდეს თვითოეულის მოსამსახურის ჯამაგირი, თვითოეული ცალკე ხარჯი და ვის გაუგონიაო ეს. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა წესდებით მარტო ზედა-მხედველ კამიტეტის საქმეა და მისი დამტკიცება საქმეა კრებისა. იგი მოვალეა მარტო სია შეადგინოს თვითოეულის ხარჯისა და ისე წარმოუდგინოს კრებას განსახილველად. ეს წესი ასრულებულიაო. მაშასადამე, ის 3500 მანეთი, რომელიც ჩართულია საერთო ხარჯის სიაში და სააგენტოსათვის დანიშნულია, კანონიერის გზით არის კრებამდე მოსულიო. ეხლა კრების საქმეა გადასწყვიტოს იძლევა ამ ფულს, თუ არაო.

ამის შემდეგ კრებამ მოითხოვა, გაგვაგებინეთ ეგ საჭიროება ბაქოში სააგენტოს დაარსებისა განხილულ იყო გამგეობისა და კამიტეტისაგან, თუ არაო. წაკითხულ იქმნა ამ საგანზე განაჩენი გამგეობისა, საიდამაც სჩანს, რომ გამგეობას საჭიროდ დაუნახავს ბაქოში სააგენტოს დაარსება და ისიც უთქვამს, რომ რაკი საზოგადო კრება გათავდება, ამ საქმის ასრულებას მაშინვე შეუდგება და ესეც დაუმატებია, რომ რამდენი კაცი და ვინ მოუნდება ამ სააგენტოს, რა ხარჯს მოითხოვს—ესე ყოველი დავაცალოთ, გამოცდილება და იქაური მოძრაობა საქმისა რას გვეტყვისო.

თავმჯდომარემ გამგეობისამ ყოველ ამას დასძინა, რომ ბაქოში სააგენტოს დაარსება აუცილებლად საჭიროა მით უფრო, თუ მართლა იქ საკრედიტო საზოგადოება გაიმართება. იქაურ მსესხებელთ უნდა გაადვილებული ჰქონდეთ ჩვენ ბანკთან მისვლა-მოსვლა, იქავ უნდა ჰყვანდეთ საქმის გამრკვევი, გზის მაჩვენებელი, ბანკში შემოსატანის ფულის მიმღები, მრჩეველი იმისი, რა ნაირი საბუთები უნდა დასაგირავებელ მამულების კუთვნილებისა და ბევრი ამისთანა, რომელიც დღეს ტფილისში წასვლა-მოსვლას ჰთხოულობს, მაშინ, როდესაც შესაძლოა ყოველივე საქმე იქავ ბაქოში წარიმართოს ყოველმა, ვისაც ფულის აღება სესხით უჭირს. გამგეობამ, მართალია, სააგენტოსათვის ჯერ ხანად ხარჯი არა აღნიშნარა, როგორც სჩანს მისის განაჩენისაგან, ხოლო ზედა-მხედველმა კამიტეტმა ძალიან წინდახედულად მოისაზრა, რომ ვაი თუ წლის განმავლობაში გამგეობას, რაკი უსათუოდ აარსებს სააგენტოს, ფული მოუნდეს, საიდამ უნდა დახარჯოს, თუ კრებისაგან დანიშნული და ნაჩვენები არ იქნებაო. ამისათვის ხომ საგანგებო კრებას არ მოახდენს და ან მეორე მორიგ კრებამდე საქმეს ხომ არ დააბრკოლებსო. ამიტომაც კამიტეტმა საჭიროდ დაინახა სააგენტოსათვის ყოველ შემთხვევისათვის გადადებულ იქმნას 3500 მანეთიო. მოუნდება სააგენტოს, ფული ხელთ იქნება, არ მოუნდება და ისევ ძირს დარჩებაო.

თ. ნ. ზ. ანდრონიკაშვილმა სთქვა, რომ რადგანაც გამგეობას სახეში აქვს ერთ-ერთი წევრი იყოლიოს მუდმივ ბაქოში ჲ, მაშასადამე, ცალკე სხვა აგენტი საჭირო არ არისო, ჩემის ფიქრით, იმ 3500 მანეთს, რომელსაც კამიტეტი თხოულობს, 2000 მანეთი ცალკე აგენტისათვის ჯამაგირად დანიშნული უნდა გამოაკლდესო. ამისი თანახმა შეიქმნა გამგეობის თავმჯდომარეცა, პირველ ხანში მაინც ესე მოვიქცევით და შემდეგისათვის ვნახოთ, გამოცდილობა რას იტყვისო. არსებითად ასე აიხსნა ეს საქმე კრებაში. თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ საქმე საკმაოდ გამოირკვა და ეხლა მარტო ის-ღა დაგვრჩა ვიკითხოთ: ამტკიცებთ ხარჯთ-აღრიცხვას, ზედა-მხედველ კამიტეტისაგან წარმოდგენილს, თუ არაო. ზოგმა ერთმა წევრმა მოითხოვა ამ საგნის გადაწყვეტა კენჭით და ამის გამო თვით თავ-მჯდომარემ საჭიროდ იცნა კენჭით გადაწყვეტა ამ საქმისა. ხოლო რადგანაც გვიან იყო, კენჭის ჩამოტარება მეორე დღისათვის გადაიდვა.

## დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ნაფარეული.** თელავის მაზრის მდ. ალაზნის მარცხენა მხარე შეიცავს 15 მეტს სოფელს. ამ სოფლებში 8-ზედ მეტი საერო და სამრევლო სკოლებია დაარსებული, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთს ამ სოფელში არ მოიპოვება არც ერთი წიგნთსაცავი და სამკითხველო, თუმცა-კი ყველა სოფელი საჭიროებს ამას. ყოველ წლიწადს ამ სკოლების შემწეობით ემატება იმათს საზოგადოებას რამდენიმე წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილი, მაგრამ რა გამოვიდა! სასწავლებლებიდგან გამოსვლის შემდეგ მომეტებულს ნაწილს მალე ავიწყდება ისევ ის ცოდნა, რაც შთაუნერგეს მასწავლებელთ დიდის ვაითა და ვაგლახითა. დიახ, რამდენისამე წლის შემდეგ თითქმის მთლად უფრინდებათ ყოველივე ცოდნა და ამასთან ჩაივლის ხოლმე როგორც მასწავლებლის შრომა, აგრეთვე თავიანთი რამდენისამე წლის ტანჯვა და შრომაც; ზოგს თითქმის ისე ავიწყდება, რომ მლივს-ღა აწერს თავისს სახელსა და გვარს. ეს სამწუხარო გარემოება, რასაკვირველია, ბევრის მიზეზით აიხსნება, მაგრამ უმთავრესი მიზეზი-კი, ჩვენში წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების უქონლობაა. სკოლიდგან გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრსა აქვს ხოლმე სურვილი წიგნების კითხვისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი წიგნთსაცავი და სამკითხველო არ მოეპოვება, რომ სხვა-და-სხვა სასარგებლო წიგნებით დაეკმაყოფილებინა იმათი სურვილი და იმათ დამნახველთათვისაც აღეძრა და გაეცხოველებინა ამ გვარივე სურვილი.

11 აპრილს ამ განზრახვით ჩვენ ახალგაზდა სცენის მოყვარეთ გამართეს ს. ნაფარეულში წარმოდგენა. ითამაშეს 2 მოქ. კომედია ცაგარლისა „ბაიყუში“ და „მათიკო“, კომედია მისივე. თუმცა პირველად გამოდიოდნენ სცენაზედ, მაგრამ, რადგანაც გულით იყვნენ მოწადინებულნი და ერთის სურვილითა და გრძნობით აღჭურვილნი, სულ მოკლე ხანში ისე მშვენივრად მოაწყეს თავისი საქმე, რომ გასაოცარი გახდა ყველა მაყურებლისათვის! ხალხი როგორც აქაური ინტელიგენცია, ისე გლეხებიც ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნებნიც დარჩნენ. მშვენივრად აღასრულა თავ. დ. სიდამონიძე-ერისთავმა „ბაიყუშში“ გასპარას როლი და „მათიკოში“ ოსეფასი. საზოგადოება ბევრი აცინა და ბევრჯელ გამოიწვია ხალხისაგან ხანგრძლივი ვაშას ძახილი და ტაშის ცემა. კარგი იყო აგრეთვე გ. მ. გარდიაშვილი, რომელმაც აღასრულა რევაზ თავქარიანის როლი. ხალხი ამანაც ბევრი აცინა და ბევრჯელაც იქმნა გამოწვეული საზოგადოების მიერ. მშვენივრად აღასრულეს აგრეთვე ქ. ნ. გარ—შვილისამ და მასწ. ქ. თ. გული—შვილმა, პირველმა კარგად დაახასიათა კაპასის, მეორე ცოლის ხასიათი, მხოლოდ უფრო კარგად დაგვიხატა სოფლელი გლეხი დედაკაცი „მათიკო-

---

მოვალედ არ მიაჩნია. ქვეყანა იმისთვის არის გაჩენილი, რომ მაკინემ ისიამოვნოს და დასტკბეს, დასტკბეს და ისიამოვნოს. სამშობლოსა და თანამოძმეების სიყვარულმა? მაკინეს ფიქრი ერთხელაც არ შემდგარა ასეთს საგნებზედ. რა იმის საქმეა! სარწმუნოებამ?—სარწმუნოება დაძრული, შერყეული აქვს ზოგიერთ ყურ-მოკრულ; ევროპიდგან გადმოსულ სიტყვების გაგონებისა გამო.

ევროპიულად გამოწყობილ მაკინეს სძულს წიგნი, კითხვა ისე, როგორც ნამდვილს აზიელს.

ერთის სიტყვით, „მაკინეს“ სურათის შექმნით ან. ერისთავისამ აჰხადა ფარდა ჩვენს საზოგადოებურს ცხოვრებას და დაგვანახვა კარი, საიდგანაც შემოდის ჩვენში მტერი ჩვენის პროგრესისა, მიზეზი ჩვენის დაცემისა, ჩვენის ეკონომიურად მიწასთან გასწორებისა. ნიჭიერმა ავტორმა მაკინე სამარცხვინო ბოძზედ გააკრა და მიგვითითა: აი, ერთი მთავარ მიზეზთაგანი ჩვენის უბედურებისაო! ასეთია მორალი მოთხრობისა „მოლიპულ გზაზედ“.

საკუთარის ნაკლის დანახვა და შეგნება კიდევ უტყუარი გზა არის გასწორებისა. აქ არის დიდი საზოგადოებური მნიშვნელობა მოთხრობისა. ბევრი შრომა და ღვაწლი დასჭირდება ჩვენს საზოგადოებას „მაკინეობის“ აღმოსაფხვრელად. აქ ჩვენ წინ აღიმართება უპირველესად თავისის უშველებელის ახოვანებით ძირითადი საკითხი: როდის უნდა მოვაწყოთ ჩვენის ქალების აღზრდა და სწავლება? როდის უნდა დავაარსოთ „ქართული საშუალო საქალებო სასწავლებელი“? ამ საგნის მისაღწევად ჩვენში კიდეც ჰმუშაობენ ზოგიერთნი პატივცემულნი და განათლებულნი გვამნი. ხოლო, სამწუხაროდ, მხოლოდ „ზოგიერთნი“. იმათს ღაღადს თანაგრძნობა ვერ მოუპოვებია, თორემ მთელს ქართველობას ერთის ასეთის სკოლის დაარსება არ გაუჭირდებოდა. ერთი ჩვენი ძირითადი ნაკლი ისიც არის, რომ ჩვენ ხშირად ვერ ვარჩევთ მთავარს საგანს მეორე ხარისხოვნისაგან. არა თუ ესრედ წოდებული „საშუალო ყალიბის“ ქართველი, თვით ისინიც-კი, რომელნიც თავიანთ თავს საზოგადოების მასწავლებლად სთვლიან, ხშირად გულ-უბრყვილოდ კამათობენ ასეთს საგნებზედ: რა უფრო საჭიროა: სკოლა, მუზეი, ტაძრის შეკეთება თუ ესა და ის საქმეო. ამათ ვურჩევთ გულ-დადებით წაიკითხონ „მოლიპულ გზაზედ“, გაითვალისწინონ მაკინეს სურათი და... თვითვე უნებლიედ წამოიძახებენ, რომელი სხეული უფრო სტკივა ჩვენს საზოგადოებურს ორგანიზმს და რომელი მუწუკი ითხოვს გამორწყავს.

ჩვენ ერთხელ კიდე ვიტყვით, რომ „ქართული“ საქალებო სკოლა არის დიდი საჭიროება დღევანდელის დღისა. მაკინეს რომ უყვარდეს საქართველო, ბევრით უკეთესი ადამიანი იქმნებოდა. სამშობლოს წმინდა სიყვარული ასპეტაკებს, ბუნებას უნათლავს ადამიანს. იგი სიყვარული ზარმაცს კაცს შრომას აყვარებს, მფანტველსა და მხარჯველს დაზოგვასა და ზომიერებას ასწავლის; ბოროტსა და შურიანს გულში შეაქვს სითბო სიყვარულისა და ადამიანობისა. სამშობლოს სიყვარული ჰკლავს ადამიანში გვაროვნულსა და ჩამომავლობის უაზრო ამაყობას; სამშობლოს სიყვარული და განათლებული გონება ველარა ჰხედავს თავადს, აზნაურს, გლეხს და სხვას; იგი ჰხედავს მხოლოდ თავის თანამოძმეს.

დიახ, ქართველ კეთილშობილს წოდებას „გამარტივება“ სჭირია. მამა-კაცნი ცოტად თუ ბევრად კიდეც მორჯულდნენ. „მაკინეები“ ისევ ებღაუჭებიან ცუდ თვისებათ ფეოდალობისას. ჩვენთა კეთილშობილთა გამარტივება გადმოიყვანს „მოლიპულ გზიდგან“ სწორე და უშიშარს გზაზედ. წოდებრივი განსხვავება და „წმინდა სისხლი“ დროა ჩაითვალოს ანაქრონიზმად. „წმინდა სისხლის“ ქულაჯა, ანუ გვაროვნული სიამაყე დღეს უმოკლებს ჩვენს კეთილშობილ წოდებას. ჩვენ ყველას, წოდებისა, შთამომავლობისა და გვარიშვილობის განურჩევლად, უნდა გვეპყრას ერთი დროშა. დროშა მოითხოვს ჩვენგან გაფრთხილებას, ზომიერად ცხოვრებას, მამულ-დედულის შერჩენას და არ-გაყიდვას, მოძმის სიყვარულსა და დახმარებას.

ესე ყოველივე ანბანაა ადამიანობისა და ადამიანურ ცხოვრებისა, მაგრამ „მოლიპულ გზაზე“ გვიმტკიცებს, რომ ეს ანბანა ჩვენ ჯერ არ ვიცით.

ჩვენის წერილის ამ ნაწილის დასასრულში ვიტყვით იმას-ღა, რომ მადლობის ღირსია ნ. ერისთავისა, რომ მან ჩაახედა თანამოძმეები ცხოვრების სარკეში და დაანახვა სურათი მაკინესი. მახინჯია ეს სურათი, მაგრამ სარკემ რა ქმნას, ან რა ბრალი აქვს, თუ ჩვენი სახე დალმანჭულია?! ბელეტრისტიკა უნდა იყოს ნამდვილი სარკე ცხოვრებისა. იგი უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას; უნდა ასწორებდეს მისს ნაკლს. იმის მოთხრობას ნაკლულევანებაცა აქვს და ამ ნაკლულევანებათ თავისს დროზედ აღვნიშნავთ. მხოლოდ გულსწრაფობას შეეძლო ეკიჟინებინა ჩვენთვის, რომ ჩვენ განგვიზრახავს „მხოლოდ“ ხოტბის შესხმა და ქება ავტორისა. კრიტიკას სახეში არც „მხოლოდ“ ქება აქვს, არც ,,მხოლოდ'' ძაგება. ,,ქება ქებისათვის'' და ,,ძაგება ძაგებისათვის'' არა სწერია ჩვენს დავთარში. ჩვენი სურვილია ვემსახუროთ სიმართლეს, რამდენადაც-კი ჩვენი ცოდნა ხელს გვიწყობს. ყოველივე ჩვენ მიერ ნათქვამი ნაყოფია წრფელის გულისა და ჩვენის ერის მიმართ განუსაზღვრელის სიყვარულისა.

მე გახლავარ

ში“, —მხოლოდ მეორე გასათხოვარის ქალის თალიკოს ხასიათი წარმოგვიდგინა. სხვებსაც არა უჭირდათ-რა, მაგრამ მორცხვობა და გაუბედაობა ეტყობოდათ. ყველანი დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ საზოგადო საქმისათვის. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ახალგაზრდა სცენის მოყვარენი თავიანთს შრომას არ დაჰზოგავენ და შემდეგისათვისაც ეცდებიან ჩვენის საზოგადოების სასარგებლოდ. დიდის მადლობის ღირსია ამ საქმის მოთავენი: მ. აჯიამაშვილი და თავ. სიდამონიძე-ერისთავი.

გულითადს მადლობას ვუძღვნით თელავის მაზრის უფროსს ბ-ნს განსვენს, რომელიც ყოველთვის და ყველგან უმართავს ხელს ამისთანა საქმეებში და დახმარებას უწევს საზოგადოებას.

თუმცა უფასოდ იყვნენ მოწვეულნი მაყურებელნი, მაგრამ ეს წარმოდგენა გახდა საიმუდლად განზრახულის სამკითხველოსი და ბევრმა არ დაიშურა თავისი წვლილი სამკითხველოს სასარგებლოდ. ნებსითი სხვა-და-სხვა წიგნების შესამენად შეწირულება შეგროვდა 9 მ. 85 კ., რომელიც გარდაეცა ა. გარდიაშვილს. იმედია, რომ ყველა ქართველი შეგვიბრალებს და არ მოგვაკლებს თავისს წვლილს წიგნთ-საცავისათვის.

საშა ნაფარეულელი

## უცხოეთი

**ისპანია და შეერთებული შტატები.** როგორც ევროპის ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, ამერიკის შეერთებულ შტატებს აზრადა აქვს უმთავრესი ყურადღება კუნძულ კუბის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებს მიაქციოს, განსაკუთრებულ ამ ნაპირზედ მდებარე სამ ნავთ-სადგურს; კარდენას (17,500 მცხოვრებელია), მატანზას (77,000 მცხ.), კუნძულის დედა-ქალაქ ჰავანას, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 230,000 კაცს აღემატება და სიენფუეგოს (65,000 მცხოვ.). შეერთებულის შტატების უმთავრესმა ესკადრამ კიდეც შემოარტყა ალყა კუნძულის ჩრდილოეთ ნაპირს, ასე რომ ისპანიის გემებს ამ ნაპირიდგან კუნძულში მისვლა თითქმის აღარ შეუძლიანთ. რაც შეეხება კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილს, იგი მეამბოხეთა ხელშია და ეს უკანასკნელნი კი ჯერ-ჯერობით ამერიკელების მომხრეები არიან. ამ რიგად ისპანია მოწყვეტილი იქმნება კუნძულისაგან და იმის გემებს ძალიან გაუჭირდება იქ მყოფ თავის ჯარს საჭირო სურსათი მიაწოდოს. სხვა გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკა ალყის შემორტყმით ვერაფერს გააწყობს და კუბას ვერ აიღებს, რადგანაც კუბის ნავთ-სადგურები ძალიან კარგად არის გამაგრებული და ისპანიას შიგ ჯარიც ბევრი უყენია. გინდაც რომ ამერიკამ გზა შეუკრას ისპანიის გემებს, კუბაში მყოფი ჯარი საკმაო სურსათს თვით კუნძულზედ იშოვნის და კარგა ხანს თავს ასე გამოიკვებავსო. ამავე დროს თვით ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ პირველი დიდი ბრძოლა ამერიკასა და ისპანიას შორის კუბაში კი არა, ფილიპეს კუნძულებთან მოხდებაო. ამ კუნძულებს უკვე შემოერტყა ამერიკის ერთი ესკადრა, რომელიც ექვსის სამხედრო გემისაგან შესდგება და 20 აპრილს მცირე ბრძოლაც-კი მოუხდა კუნძულების დედა ქალაქ მანილის ნავთსადგურში, იქ მყოფ ისპანიის ესკადრასთან. ბრძოლის დროს ისპანიის ერთ გემს ცეცხლი წაეკიდა, მეორე აფეთქდა. მოკლულთა შორის ერთი გემის უფროსიც-კი აღმოჩნდა. ფილიპეს კუნძულები მდებარეობს დიდ ოკეანეში, აზიისა და ავსტრალიის შუა, ჩინეთის სახელმწიფოს აღმოსავლეთ დასავლეთის ნაპირის მახლობლად. როგორც კუბაში, ამ კუნძულებზედაც დიდი ხანია ადგილობრივი მცხოვრებელნი აჯანყებულნი არიან ისპანიის მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ ეს გარემოება ისპანიას ერთი ორად უჭირებს საქმეს. ჯარს ერთსა და იმავე დროს ბრძოლა ამერიკელებთანაც და მეამბოხეებთანაც უხდება. კუნძულების დედა-ქალაქ მანილაში ისპანიას ამ ჟამად 14,000 გაწყობილი ჯარი და 5,000 თავისუფალი მეომარი ჰყავს. ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ მათი ესკადრა მალე გაანადგურებს ფილიპის კუნძულებზედ მყოფ ისპანიის ესკადრას და შემდეგ ისიც კუბისაკენ გაემართებაო.

**ჩინეთი და იაპონია.** გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ბოლოს დროს ჩინეთი და იაპონია ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ასე რომ შეიძლება ამ ორმა სახელმწიფომ სამეგობრო კავშირიც-კი დასდოსო. ვიცე-კოროლ ჩანგ-ჩიტუნგს ჩინელი 6 ახალგაზდა აფიცერი გაუგზავნია იაპონიაში სამხედრო საქმის შესასწავლად. გარდა ამისა ჩინეთს აზრადა აქვს, გაისტუმროს გერმანელი ინსტრუქტორები, რომელთაც ჩინეთის ჯარის მოწყობა აქვთ მინდობილი და იმათ ნაცვლად იაპონელები მოიწვიოს. იმასაც ამბობენ, რომ შესდგა ძლიერი საზოგადოება, რომლის დევიზიც „აზია —აზიელებისათვის“ არის და რომელსაც აზრადა აქვს დაკავშირება ჩინეთისა და იაპონიის და ამ ორ სახელმწიფოთა საერთო ძალით აზიიდგან ევროპიელების განდევნაო.

## ნაკვესი

— სირაჯის დუქანი აქედგან შორს არის?

— არა, ძალიან ახლო.

— რამოდენა მანძილი იქნება სასიარულოდ?

— როგორც შეხვდება, აქედგან იქამდის სამ წუთს მოუნდებით, იქიდგან აქამდის-კი—ნახევარ საათს მაინც.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ეხლა მეცნიერებს ეჭვი აღარა აქვთ, რომ ხანდახან კაცი სიზმრადა ჰნახავს რასმეს და ეს სიზმარი ასრულდება. შემდეგი მაგალითი, რომელიც ლონდონში მოხდა, მეტად საყურადღებოა. ეს ამბავი გაზეთ „Temps“-ში არის დაბეჭდილი.

წარსულის წლის 16 დეკემბერს, საღამოთი, წარმოდგენის დღეს თეატრში მოჰკლეს არტისტი ტერრისი. თვით ამ მკვლელობის დაწვრილებულს ამბავს აქ არ მოვჰყვებით. საყურადღებოა მხოლოდ შემდეგი: ვიდრე ტერრის მოჰკლავდნენ, რამდენისამე საათის წინ ტერრისის ერთი მეგობარი მ. ლ. მივიდა თეატრში და უთხრა არტისტებს, რომ სიზმარში ვნახე, ვითომ ტერრისი თეატრის კიბეზედ იწვა გულ წასული და ხალხი ეხვეოდაო. ტერრისს მკერდი ღია ჰქონდა და ტანთსაცმელი დახეული. გარდა ამისა ჰნახა სიზმარში, რომ თეატრი იმ დღეს დაკეტილი იყო. ამ სიზმარს არტისტებმა ყურადღება არ მიაქციეს. თვით მ. ლ—მაც სთქვა, ბევრჯერ მინახავს ამ გვარი, სიზმარი, მაგრამ არც ერთხელ არ ასრულებულაო. მაგრამ მე ის სიზმრები არავისთვის მითქვამს, ეს-კი იმიტომა ვსთქვი, რომ ამ სიზმარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა არტისტებმა შეამოწმეს, რომ მ. ლ. მართლა გვითხრა თავისი სიზმარი და ტერრისი სწორედ იმ დღეს მოჰკლესო.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ახალი გამოცემანი: „დედა ენა“, მეცამეტე გამოცემა, მეორასე ათასი. წიგნში 360 სურათია ჩართული და ჩვეულებრივ ლამაზად არის გამოცემული. წიგნი გამოცემულია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ.

„Русское Слово“, მეექვსე გამოცემა. ამ მეექვსე გამოცემად დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი. ეს ორივე წიგნი შეუცვლელად არის გადმობეჭდილი წინა გამოცემებიდგან და, როგორც ვთქვით, ორივე ფაქიზად და ლაზათიანად არის დაბეჭდილი მ. შარაძის სტამბაში.

მესამე წიგნი იმავე პატივცემულ იაკობ გოგებაშვილისა პირველად დაბეჭდილია. ეწოდება „Очеркъ сравнительной грамматики грузинскаго и русскаго языковъ“. წიგნი შეიცავს 95 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. ამ წიგნის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ დაწვრილებით.

ამას გარდა მივიღეთ იმავე ავტორისა: „Руководство для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ тогоже автора „русское слово“, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 აპრილი

**ბერლინი.** რუსეთის ელჩმა სადილი გამართა, რომელსაც დაესწრნენ: იმპერატორი, იმპერიის კანცლერი და სხვა წარჩინებულნი.

**ნიუ-იორკი.** ცნობა მოვიდა, რომ ადმირალმა დევამ უკვე დაუწყო ყუმბარების სროლა მანილსაო.

**მადრიდი.** მადრიდიდგან იუწყებიან მონტახას შემდეგ მოხსენებას: „ღამე ამერიკის ესკადრამ მოახერხა ნავთსადგურში შესვლა და გათენებამდის კავიტეს პირდაპირ იმ ადგილას იდგა, სადაც შვიდი გემი დგას. 7 ნახევარ საათზედ გემის „Beiua Christiua“-ს წინა მხარეს ცეცხლი გაჩნდა, ცოტა ხანს უკან ცეცხლი გემის სხვა ნაწილებსაც მოედო. მე ჩემის შტაბით გემს „Jslade-Cuba“-ზედ გადავედი. 8 საათზედ „Beina Crihstiaa“ და „Costilia“ სრულიად დაიწვნენ. სხვა დაზარალებული გემები ბაკკორის ნავთ-სადგურში წავიდნენ; იძულებულნი გავხდით ზოგი გემი ჩაგვეძირა, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა. ზარალი დიდია“.

**მადრიდი.** „Lideral“-ში გამოქვეყნებულია მონტახოს დეპეშა მანილიდგან გამოგზავნილი: „მთელი ესკადრა დაიღუპა. გადარჩნენ „მინდაკაო“-ზედ მყოფი ჯარის-კაცები და მოსამსახურენი. ინგლისის ელჩს მოლაპარაკება ჰქონდა ამერიკის ესკადრის უფროსთან, ხოლო რაზედ, არ უწყით. მტერი მანილიის წინა სდგას და ალყის შემოსარტყმელად ემზადება. მცხოვრებლები ქალაქს თავს ანებებენ“.

**ტამპა.** ჩიკამანგიდგან. მოდილიოგან და ახალ-ორლეანიდგან წამოსული ოთხი ქვეითა რაზმი აქ მოვიდა. ჰფიქრობენ, რომ 10 დღე მაინც გავა ვიდრე ჯარი კუბისაკენ გაემგზავრებაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას უცხადებთ როგორც ჩემის, ისე რწმუნებულ ჩემდამო ეკკლესიის მრევლის მხრივ თავადს იოანე ალექსანდრეს ძეს ნაკაშიძეს, რომელმაც რწმუნებულ ჩემდამო ექადიის წმ. გიორგის ეკკლესიას შემოსწირა ერთი სამღვდელო და ერთიც სამთავარ-დიაკვნო შესამოსელი, 150 მანეთად ღირებული.

წინამძღვარი ექადიის წმიდა გიორგის ეკკლესიისა მღვდელი სოლომონ დუმბაძე

## განცხადებანი

1898 წ. 27 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგურში გამართულ იქმნება

კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება

საზოგადოების 25 წლის არსებობისა გამო. კრება მოისმენს:

1) საზოგადოების თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვის სიტყვას საზოგადოების 25 წლის არსებობის შესახებ.

2) საზოგადოების მდივნის ა. ს. ფრენკელის მოხსენებას: „მოკლე ისტორია საზოგადოების 1873—1898-წლ. მოქმედებისა“.

3) მთავრობის განკარგულებათ.

საზოგადოების წესდების მე 17 §-ის თანახმად კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. (3—უ.—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ | 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 | „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ | 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| კანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები, საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—6)